საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილების საფუძველზე
წარმოგიდგენთ შპს„ახტელის“ სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილების
ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება
(მოწვევა ოფერტაზე)
დაზუსტებული ვარიანტი

1. სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსებთან დაშვება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 თბილისის გეოგრაფიულ სეგმენტზე სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსის სრული და დატვირთული სიმძლავრეები:

სასადგურო ნომერაციის ინდექსის ზონა	სპილენძის სააბონენტო სახაზო საკაბელო წყვილების სრული სიმძლავრე	სპილენძის სააბონენტო სახაზო საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსით დატვირთული სიმძლავრე
ასს-70	9430	2558
გატანილი	2000	250
გატანილი	2600	325
ასს-75	6592	799
გატანილი	1900	287
გატანილი	2500	456
ასს-76	13788	1257
გატანილი	1800	241
ასს-77	12468	4391
გატანილი	1800	223
გატანილი	4500	542
ასს-79	11764	359
სულ	71142	**11688**

შენიშვნა: თუ წინამდებარე ცხრილში მოცემული მონაცემები და ფაქტობრივი მდგომარეობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული მონაცემები ექვემდებარება ცვლილებას.

2. სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების ტარიფები და ანგარიშსწორების პირობები:

2.1. სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან დაშვება, იქ სადაც წყვილის ხმოვანი რესურსით მომსახურებას ახორციელებს შპს „ახტელის“ - 11.65 ლარი.

2.2. რესურსთან დაშვების ტარიფია ჩართვა –7 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

გამორთვა –3.5 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2.3. დაშვების ტარიფები, განზომილების შესაბამის ერთეულებში ლარი/სააბონენტო წყვილი თვეში.

2.4. შპს „ახტელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ტარიფები (მათ შორის თანალოკაციის ფართზე დაშვების), რის შესახებაც 10 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს მხარეს, რომლის მიერ ცვლილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნება ვადამდე.

2.5. დაშვების მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს დაახლოებითი მოთხოვნა თვეების მიხედვით, ექვს თვეზე გაწერილი და საბანკო გარანტია გადახდის უზრუნველყოფის მიზნით;

2.6. მომსახურების გადახდა განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, შედგენილი საოქმო გადაწყვეტილების და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველძე. თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხოლო სადაო ნაწილზე მხარეები წერილობითი ფორმით მიმართავენ ერთმანეთს. პრეტენზიის წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საკითხს და წარადგენს თავის დასკვნას. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული მხარე უფლებამოსილი იქნება მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. კომისიისთვის ან/და სასამართლოსთვის მიმართვა არ აჩერებს შემდგომი თვეების შეთანხმებულ ანგარიშსწორების ვალდებულებას.

2.7 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შპს „ახტელი“ უფლებამოსილია დაარიცხოს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არ გადახდილი თანხის 0.1%.

3. სპილენძის სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების პირობები და პროცედურები.

3.1 მსურველი ოპერატორი დაიშვება სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი

სასადგურო ნუმერაციის ინდექსის ზონა	ფაქტობრივი მისამართი
ასს-70	მოსკოვის გამზ. №16
გატანილი	გუმათჰესის ქ №12
გატანილი	ქინძმარაულის შეს. №1
ასს-75	ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1 კვ
გატანილი	ფონიჭალა 3 კ14 ბ 3
გატანილი	კალანდაძის ქ №10
ასს-76	შუამთას ქ.№19
გატანილი	ორეხევი, მუხაძის 6/2
ასს-77	კახეთის შესახვ. №2
გატანილი	ბ.ხმელნიცკის 42
გატანილი	მე-8 ლეგიონი
ასს-79	ვარკეთილი მე-4 მ/რ

შენიშვნა: თუ წინამდებარე ცხრილში მოცემული მონაცემები და ფაქტობრივი მდგომარეობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული მონაცემები ექვემდებარება ცვლილებას.

3.2. სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან, მსურველი ოპერატორის დაშვება მოხდება ისეთ ფართზე სადაც შ.პ.ს. „ახტელი" უზრეუნველჰყოფს 24 საათიან მეთვალყურეობას, დაცული იქნება ტემპერატურული რეჟიმი და კონდეცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.
3.3 სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან, დასაშვებად მსურველი ოპერატორი ვალდებულია: ა) გააფორმოს ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის პირობების გათვალისწინებით; ბ) შ.პ.ს „ახტელის" თანალოკაციის ფართიდან სასადგურო კროსამდე მიიყვანონ სააბონენტო კაბელი, რომელიც მიერთებული იქნება კროსის ჩარჩოზე; გ) შ.პ.ს. „ახტელის" ფართზე სამუშაოები აწარმოოს სამუშაო საათებში და არ დაუშვას უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სისუფთავის ნორმების დარღვევა.
3.4 3.2. და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების გასავლელად განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ პირველი მიმართვისას, ან იმ შემთხვევაში თუ ბოლო მიმართვიდან გასულია 3 თვეზე მეტი);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მხოლოდ პირველი მიმართვისას, ან იმ შემთხვევაში თუ ბოლო მიმართვიდან გასულია 3 თვეზე მეტი);
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი (მხოლოდ პირველი მიმართვისას, ან იმ შემთხვევაში თუ ბოლო მიმართვიდან გასულია 3 თვეზე მეტი);
დ) სრულად შევსებული განაცხადი იგზავნება ფოსტით მისამართზე შპს „ახტელი", ა. პოლიტკოვსკაიას 16, თბილისი, საქართველო;
ე) წინამდებარე ოფერტის 3.4 მუხლის დ) პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

3.5. განმცხადებელს განაცხადის გაკეთების მომენტისათვის (მათ შორის 3.4. და 3.7. პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის მომენტისათვის) არ უნდა გააჩნდეს შპს „ახტელის" წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულება (დავალიანება).
ვადების ათვლა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 3.4 და 3.7. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია განმცხადებლის მიერ სრულად წარმოდგენილია შპს „ახტელში" წერილობით, მისამართზე ა. პოლიტკოვსკაიას 16, თბილისი, საქართველო.

3.6. განმცხადებლის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შპს "ახტელი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 3.4 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუ კი 3.4 მუხლით დაფიქსირებული რომელიმე ერთი მოთხოვნა მაინც არ შესრულდა ან/და განმცხადებელს აქვს დავალიანება შპს „ახტელის" მიმართ, განმცხადებელს უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.

3.7. სპილენძის სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან დაშვებაზე შპს„ახტელთან" ხელშკერულების გაფორმების და 3.3. ბ) ქვეპუნქტის შესრულების შემდეგ, განმცხადებელი, ახალ რესურსთან დაშვების მოთხოვნით (წინამდებარე მოწვევის ოფერტის 3.1. მუხლით განსაზღვრულ მისამართზე) მომართავს შპს „ახტელს" წერილობით მისმამართზე ა. პოლიტკოვსკაიას 16 და წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას:
ა) აბონენტის სატელეფონო ნომერი;

ბ) აბონენტის სახელი გვარი;
გ) აბონენტის მისამართი;
დ) ატეესის მისამართი;
ე) დაშვების მსურველი ოპერატორის ჩარჩოზე არსებული სახაზო-საკაბელო წყვილის ტექნიკური მონაცემები.

3.8. განმცხადებლის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, შპს „ახტელი" შეისწავლის შეესაბამება თუ არა განმცხადებლის მიერ წინამდებარე ოფერტის 3.7. მუხლის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოყვანილი მონაცემები შპს „ახტელის" ბაზებში არსებულ მონაცემებს (მათ შორის, ხდება ნომრის ფართოზოლოვანი რესურსის ხელმისაწვდომობის ფაქტის შესწავლა). თუ კი კონკრეტულ სატელეფონო ნომერზე მონაცემები განსხვავდება, მაშინ განმცხადებელს ეცნობება უარი კონკრეტულ სატელეფონო ნომერზე და ჩაითვლება რომ ამ კონკრეტულ ნომერზე განმცხადებლის მიერ განაცხადი არ გაკეთებულა.
3.9. 3.7. მუხლის მიხედვით ერთ სატელეფონო ნომერზე მაინც დადებითი პასუხის შემთხვევაში (ანუ როდესაც განმცხადებლის მიერ წინამდებარე ოფერტის 3.7 მუხლის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოყვანილი კონკრეტული ნომრის მონაცემები, შპს „ახტელის" ბაზებში არსებულ მონაცემების იდენტურია):

ა) 3 სამუშაო დღის ვადაში ხდება დაზიანების ბიუროში ნომრის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა. თუ კი კონკრეტულ სატელეფონო ნომრის პარამეტრები არ შეესაბამება შესაბამის ნორმებს, მაშინ განმცხადებელს ეცნობება უარი კონკრეტულ სატელეფონო ნომერზე და ჩაითვლება რომ ამ კონკრეტულ ნომერზე განმცხადებლის მიერ განაცხადი არ გაკეთებულა.
ბ) 3.7. მუხლის მიხედვით ერთ სატელეფონო ნომერზე მაინც დადებითი პასუხის შემთხვევაში (ანუ როდესაც განმცხადებლის მიერ წინამდებარე ოფერტის 3.7. მუხლის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოყვანილი კონკრეტული ნომრის პარამეტრები შეესაბამება შესაბამის ნორმებს განაცხადის მომენტში), 3 სამუშაო დღის ვადაში ხდება ამ კონკრეტული ნომრ(ებ)ის ინფორმაციის კროსში გაგზავნა.
გ) 3.9. ბ) პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული მოქმედებების დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხდება კროსიდან ინფორმაციის მიღება და დაშვების მსურველი ოპერატორისათვის შეტყობინება წერილის სახით 20 დღის ვადაში, განცხადების მიღებიდან.
დ) 15 სამუშაო დღის ვადაში, სასადგურო კროსში ხდება ნომრის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დაშვების (დაკროსირების) განხორციელება მოთხოვნის შესაბამისად (თუ კი კონკრეტულ სატელეფონო ნომრის პარამეტრები არ შეესაბამება შესაბამის ნორმებს, მაშინ განმცხადებელს ეცნობება უარი კონკრეტულ სატელეფონო ნომერზე და ჩაითვლება რომ ამ კონკრეტულ ნომერზე განმცხადებლის მიერ განაცხადი არ გაკეთებულა).

4. თანალოკაციის ფართთან დაშვება ხორციელდება შპს „ახტელის" მიერ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტით დაადგენილი წესით, რომელიც განსაზღვრავს თანალოკაციის ფართთან დაშვების პირობებს. ამასთან, იმ გასხვავებული პირობების გათვალისწინებით, რასაც განსაზღვრავს წინამდებარე მოწვევის ოფერტა.

5. სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან და თანალოკაციის ფართთან დაშვების ხელშკერულება გაფორმებულ იქნება აქცეპტის მიღებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

6. ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ გარემოებებში მომსახურების მიმღების მხრიდან გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება მის მიერ სრულად.

7. მოწვევის ოფერტა ძალაში შედის 2011 წლის 15 აპრილიდან და მოქმედებს ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადით.

შპს „ახტელის“
გენერალური დირექტორი
ა. იაშვილი